



დანართი N1.6. მშობლის თანხმობის ფორმა

ანაკლის ახალგაზრდულ ბანაკში მონაწილეობისთვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის

თანხმობის ფორმა

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით და სრულად. არასრულად შევსებული ფორმა არ განიხილება.

მე, _____ (მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის სახელი, გვარი)

პირადი ნომერი: _____

საცხოვრებელი მისამართი: _____

საკონტაქტო ტელეფონი: _____

ვაცხადებ, რომ ვარ არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი:

არასრულწლოვანი (სახელი, გვარი): _____

პირადი ნომერი: _____

დაბადების თარიღი: _____

ვადასტურებ, რომ ინფორმირებული ვარ ბანაკის მიზნების, პროგრამის შინაარსის, ჩატარების პირობებისა და უსაფრთხოების წესების შესახებ და არ მაქვს პრეტენზია აღნიშნული საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით და ვაცხადებ თანხმობას, რომ ჩემმა შვილმა / მეურვეობის ქვეშ მყოფმა არასრულწლოვანმა მიიღოს მონაწილეობა ანაკლის ახალგაზრდულ ბანაკში, მიმდინარე წლის _____ პერიოდში.

ვაცხადებ, რომ ჩემი შვილი/მეურვეობის ქვეშ მყოფი პირი, ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, შეძლებს ბანაკის აქტივობებში მონაწილეობას. საჭიროების შემთხვევაში ვიღებ ვალდებულებას წინასწარ მივაწოდო ორგანიზატორს ინფორმაცია არასრულწლოვანის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ალერგიის, ქრონიკული დაავადების ან განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ.

ასევე, ვაცხადებ თანხმობას, რომ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში (ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ტრავმა ან სხვა საგანგებო შემთხვევა), ბანაკის ორგანიზატორებმა უზრუნველყონ არასრულწლოვანისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართონ შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას.

ინფორმირებული ვარ, რომ ორგანიზატორის პასუხისმგებლობა განისაზღვრება მხოლოდ იმ ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნება მისი პირდაპირი ბრალეულობით, ხოლო არასრულწლოვანის ქცევით გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებლობა ეკისრება კანონიერ წარმომადგენელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ამავე დროს, ხელმოწერით ვადასტურებ, რომ გავცეანი და ვეთანხმები ამ თანხმობით მოწოდებული პერსონალური მონაცემების დამუშავებას სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტოს“ მიერ. მონაცემთა დამუშავება



ხორციელდება შემდეგი მიზნებისათვის: ახალგაზრდულ ბანაკში მონაწილეობის ორგანიზება და ადმინისტრირება; უსაფრთხოების და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა ბანაკის პერიოდში; საჭიროების შემთხვევაში მშობელთან დაკავშირება; ინფორმაციის გასაჯაროება პროგრამის მიმდინარეობასთან და ანგარიშგებასთან დაკავშირებით (მათ შორის ფოტოს, ვიდეოს გამოყენება სარეკლამო, საანგარიშო და საინფორმაციო მიზნებისთვის). პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მონაცემები ინახება მიზნის მიღწევის ვადით და წაიშლება მიზნის დასრულებისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს სამართლებრივი საფუძველი უფრო ხანგრძლივი შენახვისათვის. მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება მოითხოვოს: ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მონაცემების შესახებ; მონაცემების გასწორება, განახლება, დაბლოკვა ან განადგურება; მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ საკითებზე.

ვადასტურებ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია არის სრული და უტყუარი და ჩემი თანხმობა გაცემულია ნებაყოფლობით, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე.

თარიღი: _____

მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა: _____

სახელი, გვარი: _____